№ 272
პარასკევი, 23 დეკემბერი 1894

1877--1894

# ივერია

№ 272
პარასკევი, 23 დეკემბერი 1894

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**თავადი კონსტანტინე დავითის ძე წულუკიძე** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მეუღლისა მისისა **კნეინა სოფიო ალმასხანის ასულისა** დანიშნულია ოც-და-რვას ამა დეკემბერს, წმ. გიორგის ეკკლესიაში, დაბა ხონში.

(2—119—2)

## Открыта подписка на 1895 годъ

**НА ГАЗЕТУ**

## „КАСПІЙ"

(XV годъ изданія)

Въ 1895 году „Каспій" будетъ выходить въ Баку ежедневно, кромѣ дней послѣ-праздничныхъ, по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической, съ обширнымъ нефтянымъ отдѣломъ.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

Съ доставкой: на 12 мѣс.—7 р., на 11 мѣс.—6 р. 50 коп., на 10 мѣс.—6 р., на 9 мѣс.—5 р. 50 к., на 8 мѣс.—5 р., на 7 мѣс.—4 р. 50 к., на 6 мѣс.—4 р., на 5 мѣс.—3 р. 50 к., на 4 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—2 р. 50 к., на 2 мѣс.—2 р. и на 1 мѣс.—1 р.

Съ пересылкой: на 12 мѣс.—8 р. 50 к., на 11 мѣс.—7 р. 50 к., на 10 мѣс.—7 р., на 9 мѣс.—6 р. 50 к., на 8 мѣс.—6 р., на 7 мѣс.—5 р. 50 к., на 6 мѣс.—5 р., на 5 мѣс.—4 р. 50 к., на 4 мѣс.—4 р., на 3 мѣс.—3 р., на 2 мѣс.—2 р. 50 к. и на 1 мѣс.—1 р. 50 к.

**За-границу:**

На годъ . . . . . . . . . 13 руб.
„ полгода. . . . . . . 7 „

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе 3 руб. городскими и 4 руб. 50 коп. иногородными подписчиками; затѣмъ 15-го февраля—2 руб. и 15-го марта—2 руб.

Подписка принимается: въ Баку въ конторѣ гозеты, Армянскаа улица, домъ Красильникова; въ Тифлисѣ—въ «Центральной книжной торговлѣ»; въ Кутаисѣ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе, противъ собора, на Тифлисской ул., собственный домъ; въ Батумѣ—при книжно-газетномъ агентствѣ М. Николадзе; въ Елисаветполѣ—у Г. А. Альтгаузена, при его торговлѣ аптекарскими товарами; въ Москвѣ—въ конторѣ Метцель; въ Н.-Новгородѣ—въ рождественскомъ газетномъ кіоскѣ и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ столицъ и провинціи.

Иногородные адресуютъ свои требованія: въ Баку, въ редакцію газеты «КАСПІЙ».

Лица, подписавшіяся (безъ разсрочки) на годовое изданіе „Каспій" 1895 г. въ настоящее время будутъ безплатно получать газету въ текущемъ году, со дня подписки.

## ტფილისი, 23 დეკემბერი

—

დიდი ხანია რაც ევროპაში გამოიკვლიეს და შეიგნეს, რომ აწინდელ სოციალურ არა-სასურველს მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად ხალხის გამრავლება და ამით გამოწვეული მრავალთა უმამულობა არის. წინად მიწა წყალი რიცხვით მცირე ხალხს შორის იყო დანაწილებული და როდესაც ხალხმა იმატა, იგივე მამული მრავალთა შუა გაიყო. აქედგან წარმოსდგა მფლობელობის დანაწილება, დანაკუწება და ბოლოს ხომ მრავალი უმამულოდაც დარჩა. უმამულოთა რიცხვი დღითი-დღე ჰმატულობდა და ჰმატულობს. რაკი უმთავრესი საზრდო მიაკლდათ, სარჩენად ქალაქებს მოაწყდნენ და რადგანაც ქალაქები ყველას ვერ დააკმაყოფილებდა,—ამას მოჰყვა მრავალთა ულუკმა-პურობა, სიმშილი, სიტიტვლე და სხვა ათასი გასაჭირი.

დარღვეულის წესის აღსადგენად, და მშრალზედ დარჩენილთათვის ბინის გასაჩენად, ევროპის მმართველებმა მიჰმართეს ეგრედ წოდებულს საახალშენო პოლიტიკას. რასაკვირველია, სხვა მიზეზებიც ჰქონდათ ევროპიელებს, როდესაც ამ პოლიტიკას დაადგნენ, მაგრამ ჩვენგან დასახელებული მიზეზი ერთ უმთავრესად უნდა ჩაითვალოს.

ვერც ერთი საагრარო და სოციალური წეს-წყობილება ვერ ჩაითვლება მკვიდრ ნიადაგზედ დამყარებულადაო, ამბობს ერთი ეკონომისტი, თუ მას წესიერი საახალშენო სისტემა არ მოსდევსო. და ეს აზრი ხომ ამტკიცებს ზემოდ ჩვენგან მოხსენებულს გარემოებას: საახალშენო პოლიტიკა გამოწვეულია აწინდელის სოციალურის მდგომარეობით.

ასე თუ ისე, ხალხთა აწინდელს მოძრაობას რომ დავაკვირდეთ, ორს გარემოებას შევნიშნავთ: ეს მისვლა-მოსვლა, გადასახლებ-გადმოსახლება ან სამშობლოშივე ხდება (ე. ი. ხალხი დენას იწყებს იქიდგან, სადაც მცხოვრებნი გამრავლდნენ და მიწა აღარა ჰყოფნით იქ, სადაც მცხოვრებთა რიცხვი ნაკლებია და მიწა-წყალი თავისუფალია), ან კიდევ გადასახლებულნი სამშობლოს სტოვებენ და უცხო ქვეყნებში მიდიან. ამ ორს გარემოებას უტყუარად შეჰნიშნავთ ყველგან: როგორც იქ, სადაც გადასახლებულნი მთავრობის ზრუნვის ქვეშ არიან, აგრეთვე იქაც, სადაც ეს მზრუნველობა მთავრობისა არ არსებობს.

დიდი ხანია მას აქეთ, რაც შიდა რუსეთის გლეხებმა აქეთ-იქით დენა დაიწყეს საუკეთესო მიწა-წყლის საშოვნელად. ათასობით და ათი-ათასობით გავიდა ეს გლეხობა თავისის ბინიდგან და მრავალი ახალშენი გააშენა სხვაგან. იყო დრო, როდესაც მთავრობა უშლიდა კიდეც ასეთს მისვლა-მოსვლას; შემდეგ მთავრობამ ყური მოიყრუა და თავი მიანება და ბოლოს ხომ ის დროც დადგა, როდესაც თვით მთავრობამ იკისრა იმათი უკეთესს ალაგებზედ დასახლება.

ამიტომაც არის, რომ ამ უკანასკნელს ხანში უფრო იმატა რიცხვმა იმ რუსის გლეხებისამ, რომელნიც ახალ-შენების გასამართავად დადიან აქეთ-იქით.

ერთის სიტყვით, ყველგან და ყველამ შეიგნო ის აზრი, რომ ახალ შენების გამართვა საზრუნველია, რომ უმიწა-წყლოდ დარჩენილებისთვის მამულის გაჩენა უდიდესი საჭიროება არის. ეხლა ყველა დაკვირვებით ადევნებს თვალს იმ ალაგებს, სადაც მცხოვრებთა რიცხვი გადამეტებულია და შეძლებისა დაგვარად ჰშველიან უმამულოდ დარჩენილთ. ამაზედ ზრუნავს მთავრობა, ამაზედვე ზრუნავს კერძო საზოგადოებაც.

ასეა მოწყობილი საქმე ყველგან, გარდა ჩვენის საქართველოსი.

ჩვენში მთავრობას ჯერ არ მიუქცევია ყურადღება არც იმ გარემოებისათვის, რომ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე დასავლეთშიაც, ხალხის გამრავლების გამო მიწად-მფლობელობა მეტად და მეტად დანაწილდა და არც იმ გარემოებისათვის, რომ ასობით და ათასობით არიან ეხლა ჩვენში სრულებით უმამულოდ დარჩენილნი.

დრო კი არის, რომ მივაქციოთ ამას ყურადღება. დაგვიანება ამ საქმისა მეტად საზარალო და სახიფათოც არის, რადგან ის თავისუფალი ალაგები, რომელიც ჯერ კიდევ ბლომად არის დღეს, შეიძლება ხვალ აღარ იყვნენ თავისუფალნი, და მაშინ ხომ წახდენილის საქმის გამობრუნება შეუძლებელი-და გახდება.

ჩვენ ვამბობთ შავის ზღვის ნაპირებზედ მდებარე ალაგების შესახებ. ამ ალაგებში ოც-და-ათის წლის წინ ნახევარი მილიონი ჩერქეზი და აფხაზი სცხოვრებდა, ეხლა კი ამის მეათედი-და თუ არის. ვინც-კი ყოფილა იქით მხარეს, ყველას დაუნახავს გაველანებული მინდორ-ტყეები, ბაღები, ვენახები, რომლებიც ოდესმე ჰყვაოდა, მრავალს ადამიანს ასაზრდოებდა და ეხლა-კი ოხრად არის დატოვებული.

რუსეთიდგან მრავალმა მოისურვა ამ ადგილებში გადმოსახლება; მრავალი გადმოსახლდა კიდეც, მაგრამ, რადგან ვერც ჰავა შეითვისეს და ვერც ადგილობრივი კულტურა, როგორც მოწმობს თვით პროფესორი ბატალინი, ბევრი ამოწყდა.

სწორედ რომ სახელმწიფო საჭიროება და სამართალიც მოითხოვს, ის თავისუფალი ალაგები საქართველოს ორივე ნაწილებისა უმამულოდ დარჩენილებს დაეთმოს. საქართველოს მცხოვრებლებს რუსებსავით არ ეუცხოვებათ არც შავის ზღვის ჰავა და არც იქაური კულტურა, რადგან ორივეს შეჩვეულნი არიან. რაღა თქმა უნდა, რომ თუ ის თავისუფალი ალაგები ჩვენებურ უმამულოდ

---

## ფელეტონი

—

### რამ გადაახალასა?

**I**

— ყმაწვილო, არ მეტყვი ახლა, ვინ არის ეგ ღარიბი სტუდენტი?

— ღმერთმანი, ძია, მაკვირვებს თქვენი ლაპარაკი. რაში გეკითხებათ, ვინც არის, ხომ გეუბნებით, რომ ღარიბია და არა აქვს არავითარი საშუალება სწავლის განსაგრძობად, მიუგო გიგომ და ქუდის ღერბს გლეჯა დაუწყო, თითქო იმაზედ უნდა ამოეყარა ბიძის გაუგებრობის ჯავრი.

— კიდევ იმას გაიძახის, ღარიბი სტუდენტიაო! განა ჩვენ-კი მილიონები გვილაგია[illegible]ბია და ვინ ატანს ძალას, ყალი [illegible] წავიდეს უნივერსიტეტში, სა[illegible] რა მოვალენი ვართ...

— ბატონო, თითქმის ტირილის კილოთი გააწყვეტინა გიგომ, თქვენ ერთი-ორი მანეთი არას დაგაკლებთ და იმას-კი ამ რიგად რამდენიმე გროში შეუგროვდება და უსწავლელი არ დარჩება.

— ძალიან კარგი, მაგრამ ერთი ეს მითხარ, იმის სწავლისათვის შენ რა ძალა გადგია, რომ შაფათის გლახასავით დააჩეჩებ ამ სიას?

გიგომ ნამდვილი მნიშვნელობა ამ სიტყვებისა ვერ გაიგო და ყოყმანი დაიწყო.

— თავი არ მომიკვდება, დაიწყო გიგომ, თქვენ ან გული არა გაქვთ, ან დამცინით,—მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მეც კარგად მესმის ამის მნიშვნელობა...

— გიგო წრფელაძე სამი მანეთი, წამოიძახა გიგოს ბიძამ, რომელიც აქამდის სიას ათვალიერებდა და გაოცებული მიაჩერდა ძმისწულს.

—- ბიჭო, ეს შენა ხარ?

— მაშ ვინ იქნება.

— მერე, საიდგან?

— თქვენ არ მიბოძეთ.

— როდის?

— წიგნებისათვის არ მომეცით. დარწმუნებული ვიყავი, რომ არ გეწყინებოდათ. წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ არ გაგვემართა ხელის მოწერა, სრულიად უსწავლელი დარჩებოდა...

— წიგნები რითი-ღა უნდა იყიდო? გააწყვეტინა ბიძამ.

— რა მიჭირს ჯერ-ჯერობით ამხანაგებთან ვისწავლი და მერე ხომ სხვას მიყიდით.

— მაშ ბრძანდებოდე, ვიდრე არ გიყიდო, სთქვა გიგოს ბიძამ და გაჯავრებულმა ისე შეისრუტა ციგარა, რომ გეგონებოდათ ჩაყლაპას უპირებსო.

ძალიან გააოცა გიგო ბიძის ამ გვარმა საქციელმა. პირველად ეგონა, რომ მცდისო, მაგრამ რაკი დაინახა კოპები, რომლებიც ცისარტყელასავით გადაჰკვროდა გიგოს ბიძის ფართო შუბლს, მიხვდა, რომ აღარა ხუმრობდა.

გიგო ვეღარას ახერხებდა სათქმელად. მიჰყუდებოდა კედელს და ტუჩებს იკვნეტდა, ერთხანად კინაღამ შეჰკივლა კიდეც ტკივილისაგან.

ბიძაც გაჩუმებული იყო, თუმცა სრულებით არა ჰგავდა ერთმანეთს ამათი გაჩუმების მიზეზი.

კარგად რომ დაჰკვირვებოდა მის სახეს კაცი, ნათლად ამოიკითხავდა: ის კი არ გეყოფა, რომ შენ გინახავ და გასწავლებინებ, რომ ახლა სხვებიც გინდა ამიკვიატო?

ბიძის ხანგრძლივის სიჩუმის წყალობით გიგოს მრავალი ფიქრი აეშალა. რამდენადაც დრო გადიოდა, იმდენად ეს ფიქრი იზრდებოდა და უფრო ფართოდ შლიდა ფრთებს. განა ბიძაჩემი, ჰფიქრობდა გიგო, ისეთი უსინიდისოა, რომ გაჭირვებულის კაცისათვის ერთი ორი მანათი ენანება? განა არ ესმის, რა სარგებლობა შეუძლიან მოგვიტანოს წამაძესთანა ღარიბმა სტუდენტმა? განა ის მაინც არ იცის, რომ ყოველი კაცი ზნეობით ვალდებულია ღარიბის შველას?

მოაგონდა უფროსის ამხანაგების სიტყვები: მხოლოდ ძმობასა, ერთობასა და ზნეობას, ადამიანობას შეუძლიან წინ წარმატებაში წაგვიყვანოს და მოგვფინოს ნათელი სხივი კეთილდღეობისა. ამან ხომ უფრო გაუმრავლა ბიძის გამო ჯავრი და ჯავრის მოსანელებლად მხოლოდ მაგრად ჰკუმავდა მუშტებს.

— მაშ არას მომ...ცემთ! ისეთნაირად წამოიძახა გიგომ, თითქოს ენა ბრგვილიაო. ხმა აუკანკალდა და ყელთან მობჯენილმა ბრაზმა ისევ გააჩუმა.

— გასწი აქედგან, თორემ ისეთს ფულს მოგცემ, რომ სამუდამოდ რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩენილთ დაეთმოთ, ამით როგორც მთავრობა, ისე მცხოვრებნიც დიდს მოგებაში იქმნებიან. მთავრობა იმითი იქნება მოგებული, რომ ამ ჟამად გავერანებულს ალაგზედ გამრჯელსა და ადგილობრივის კულტურის მცოდნე ხალხს დაასახლებს, რომელიც ხაზინას ასარგებლებს; ხალხი-კი იმითი იქმნება მოგებაში, რომ აწინდელ უკიდურესს მდგომარეობიდგან გამოვა და მით მრავალს უბედურებას აიცდენს თავიდგან.

უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ მთავრობა და საზოგადოებაც მიაქცევენ ყურადღებას ამ გარემოებას. ამ ჟამად, კერძოდ ჩვენის საზოგადოებისთვის შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ არ მიგვაჩნია არც ერთი ისეთი საზოგადო საქმე, რომელიც თავისის მნიშვნელობით ჩვენ მიერ მოხსენებულ საგანზედ უფრო მწვავი იყოს.

ეს მაინც გავიხსენოთ, რომ მრავალია ჩვენში სომხებისა, ბერძნებისა და სხვათა ახალშენები, რომელნიც კერძო კაცების მეცადინეობითაც-კი დაფუძნდენ. ნუ დავივიწყებთ, რომ დაგვიანება ამ საქმისა მეტად საშიშარია, რადგანაც ეს ადგილები დიდ ხანს არ დარჩება უპატრონოდ.

—ლი—გ.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა ამ დღეებში გაარჩია არწრუნისეულ ქარვასლის საქმე. როგორც ვიცით, მაისის საყოველთაო ბანკის კრებამ ის აზრი დაასკვნა, რომ ეს ქარვასლა სათავად-აზნაურო ბანკს დარჩესო და დაადგინა, ბანკის მმართველობამ იშუამდგომლოს ამ აზრით, სადაც ჯერ არსო. პეტერბურგში გაგზავნილი ბანკის დირექტორი თავ. დ. ი. ავალიშვილი, რომელსაც ბანკის სხ. და სხ. საქმეები ჰქონდა დავალებული, უკვე ჩამოვიდა, მაგრამ ამ დადგენილების შესახებ-კი ვერაფერი სასიამოვნო ამბები ჩამოიტანა.

ამ გარემოებამ გამოიწვია აზრი ბანკის დამაარსებელ წევრთა და მსესხებელთა საგანგებო კრება მომხდარიყო მომავალის წლის იანვარში, რომლისთვისაც უნდა წარედგინოთ მოხსენება მთავრობასთან ახალის შუამდგომლობისა ამ საქმის შესახებ.

მაგრამ, რადგანაც ზედამხედველმა კომიტეტმა დაწვრილებით გამოარკვია ამ დღეებში ქარვასლის საქმე და საჭიროდ სცნო ხელ-ახლად შუამდგომლობის დაწყება, განზრახული საგანგებო კრება ჯერ-ჯერობით აღარ მოხდება.

*** ერევნის გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე გუშინ ტფილისს ჩამოვიდა.

*** კავკასიის გუბერნატორების კრება ტფილისში მერმისის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის გასაშინჯად იანვარში შესდგება. ამ დღეებში ტფილისში მოელიან სტავროპოლის, ბაქოს, განჯის და ყარსის გუბერნატორებს.

*** საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი ნ. ს. კრუნოვსკი გუშინ მოსკოვს წავიდა.

*** საფრანგეთის ელჩი სპარსეთის შაჰის კარისა დე-რეტელი გუშან საფრანგეთიდგან ტფილისს ჩამოვიდა.

*** ქალაქის გამგეობამ ნება დართო სომეხთა კანსისტორიას სანათლისღებოდ მტკვრის ტოტზე დროებითი ხიდის გაკეთებისა და გუშინ შეუდგნენ ფიცრის ხიდის აშენებას იორდანეზე გასასვლელად. ხიდს აშენებენ მუხრანიანთ ქუჩიდგან კასუმოვის კუნძულზე ცოტა ქვემოდ იმ ადგილიდგან სადაც შარშან-წინ სომხებს ხიდი ჩაუტყდათ. ხიდის აშენების ზედამხედველობა ქალაქის ინჟენერსა აქვს.

*** ქალაქის გამგეობას განუზრახავს მერმისს სასტატისტიკო ბიურო დააწესოს ტფილისში.

*** ქალაქის ახალ საყასბოების აშენებას როგორც ჩვენ შევიტყეთ შეუდგებიან მაისში.

*** იანვრიდგან ქალაქის გამგეობა აპირობს გაუგზავნოს პოლიციას და ეკკლესიებში „ბლანკები", რომლებითაც მათ უნდა აცნობონ ქალაქის გამგეობას ყოველ დღე რამდენი სული დაიბადა და რამდენი გარდაიცვალა. ეს ცნობები საჭიროა სტატისტიკისათვის.

*** დღეს ქალაქის გამგეობაში სხდომაა დანიშნული ფინანსთა კომისიისა და ხვალ-კი—ტყის გასაშენებელ კომისიისა.

*** ოთხშაბათს ხმოსანთა იურისტებმა, ბ-ნ ოპოჩინინის თავმჯდომარეობით განიხილეს რამდენიმე სახლის პატრონების საჩივარი ქალაქის გამგეობაზე იმის შესახებ, რომ იგი არ აძლევს მათ ნებას მტკვრის ნაპირზე სახლების აშენებისას, რადგანაც აპირობენ რიყის გაგანიერებას. ხმოსანთა კომისიამ ქალაქის განკარგულება უსაბუთოდ ჰპოვა და ამიტომ მათ ნება მიეცემათ მტკვრის ნაპირზე სახლების აშენებისა.

*** ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების დირექტორის თანამდებობაზედ ახლად დანიშნული ბ-ნი გროზდოვი, ამ თანამდებობას ჩაიბარებს 28 დეკემბერს. ბატონი დარსკი-კი, რომელიც ამ თანამდებობას ასრულებდა კურსკის გუბერნიაში იქმნა გადაყვანილი. „ნოვ. ობოზ."

*** სამოსამართლო პალატამ და ოლქის სასამართლომ 21 დეკემბრიდგან ახალს შენობაში დაიწყეს საქმეების გარჩევა.

*** გაზეთ „კავკაზი"-ს რედაქტორს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნია პეტერბურგიდგან: „დღეს, 21 დეკემბერს რუსეთის დეპეშათა სააგენტოსგან პირობის ქაღალდს ხელი მოვაწერე მთელის ამიერ კავკასიის აგენტობა მე გადმომეცა. საკუთრივ ტფილისის აგენტობა შემიძლიან გადავსცე ჩვენს „სინდიკატის" განყოფილებას. საყოველთაო დეპეშები მთელის რუსეთისთვის ერთი და იგივე იქმნება, საკუთარი-კი ჩვენის შეკვეთით და კერძო გარდასახადით."

### ნაწყვეტები

დღემ და ღამ ბედსა დავეძებ
ქვეყნიდგან-ქვეყნად მავალი,
არ იქნა ვერსად მივაგნე,
ვერც გნახე მისი ნავალი,
ჭირი დამატყდა ძებნაში,
უანგარიშო მრავალი,
მაგრამ არ ვცხრები, მით ვეძებ,
ზღვაზეც გზა დავქენ სავალი!

დ. მაჩხანელი.

### კორესპონდენცია

**სიღნაღი.** 17 დეკემბერი. ეს უწინდელი ბუდე ქართველებისა შესდგება თითქმის სამის წილის სომხებისა და ერთი წილის ქართველებისაგან. მე მახსოვს ამ ხუთი-ექვსის წლის წინად სულ ვერ იპოვიდით ქართველს ვაჭარს სიღნაღში, ეხლა-კი... სადაც ამ ხუთი-ექვსის წლის წინად სომხის ვაჭრები ჰყვაოდნენ, დღეს ქართველები არიან. რაკი აქაურ ვაჭრებზედ დავიწყე ლაპარაკი, არ შემიძლიან რომ აქაური გლეხიც არ გავიხსენო, რადგან აქაური ვაჭარი ძველებურ უსამართლო და ულმობელ ბატონზედ უარესი გამხდარა კახელ გლეხისთვის. აი ერთი მაგალითი: მაგალითი, ნამდვილი რომელსაც მთელი სიღნაღი დაამოწმებს. აქ გახლავთ ერთი ბატონი, გვარად ხ. მ—ოვი, რომელიც ერთს დროს ძალიან გაჭირვებული იყო და ეხლა-კი კარგი მოსახლე და ოჯახიშვილია. იმითი გაიმაგრა ზურგი, რომ წამლებითა ჰვაჭრობს. შეჩვეული ჰყავს სოფლის დედაკაცები: დღისით რომ ჰნახოთ, იმისს დუქნის წინ ხალხს ვერ აუქცევთ ფეხს. იგი ჰყიდის საწვრილმანოებს: გამხმარის ქათმის კუჭს, რომელსაც თითონ ეძახის კონტუს-ყაირს (Castoreum Zibirieum); პოლების წასასმელ სამღებრო ოხრს,—რასაც უწოდებს დევის სისხლს, თრიაქს (Electuarium Teriocoloe), რომელიც აღკრძალულია თვით აფთიაქებშიაც ექიმის ნება-დაურთველად და რომელიც ცუდად ჰმოქმედობს ყმაწვილის გონებაზედ, რადგან შიგ აფიონი (opium) ურევია. ნუ თუ არავინ გამოჩნდება ისეთი, რომ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და უკანონო საქციელს ბოლო მოუღოს.

ამ გვარი უკანონობა-კი პირველი არ არის ჩვენში. ამას წინათ, 2 დეკემბერს ერთს დალაქს, სანდრო სარქისოვს, ერთი წყალმანკით დასიებული კაცი მიეტყუებინა თავისს დუქანში, მოეკიდებინა ორმოც-და-ათი წურბელა და ეთქვა, გამოიტანენ წყალმანკსა და განთავისუფლდებიო... „აბა შენი ჭირიმეო!" თითქმის ბღავილით შეეძახა საბრალოს; «ოღონდ-კი მიშველე და ჩემს თავს შენ შემოგწირავო, ფული ფულად მიირთვი და მადლობა კიდევ სხვა იყოსო.» როცა სულ გამოეწოვათ წურბელებს, ისეც გაწყალებული სისხლი, საწყალ კაცს, უღონობისაგან გული წასვლოდა. როგორც იყო მოებრუნებინათ, გამოერთმევინათ თითო წურბელაში ორორი შაური, რაც ხუთს მანეთს შეადგენს. გამოეყვანათ და ამ სიცივეში გარეთ დაეგდოთ ქუჩაში. ამ დროს გამოიარა თურმე ბ-ნმა დიმიტრი ალექსანდრეს ძემ ნაუმენკომ, სიღნაღის მაზრის ექიმმა. დაინახა ქუჩაში მწოლარე კაცი და ჰკითხა (ქართულად): ჩემო ძმაო, გაცივდები აქ რას უწევხარო? ავადმყოფმა ღონე-მიხდილობის გამო პასუხიც ვერ გასცა. ბ-ნმა ნაუმენკომ, მაშინვე დაუძახა პოლიციას და იგი აფთიაქის კარებამდეს მიიტანეს. აქ მოაბრუნებს და ამ კაცს გამოჰკითხეს ვინაობა. ამ დროსვე ჩამოიარა მაზრის უფროსმა, შანშიევმა, რომელსაც ბ-ნმა ნაუმენკომ უამბო ამ საქმის ვითარება...

მაზრის უფროსმა უბრძანა სიღნაღის ბოქაულს, რომ იქვე ოქმი შეეყენებინა, ფული წაართვეს იმ დალაქს და დუქანიც დაუბეჭდეს.

კოტე მოსიძე

### რუსეთის ცხოვრება

პეტერბურგში არსებობს საზოგადოება „მუშაკი", რომელმაც საშინაო მრეწველობის ნივთების მუზეი გამართა. ეს მუზეუმი დაათვალიერა მეურნეობის მინისტრმა და დიდის დაკვირვებით გასინჯა. „მუშაკმა"-კი გამართა ამ ნივთების საწყობი და შარშან გაუყიდია სულ 96,539 მანეთისა. ამ ნივთების ფასი დიდი არ არის და იმიტომაც იყიდება ისე ბლომად.

რაღა თქმა უნდა, რომ მეურნეობისათვის ფრიად სასარგებლოა ამისთანა საწყობების გამართვა, რადგან იქ იყიდება ყველა ის, რასაც მეურნე მოახერხებს გააკეთოს სოფელში თავისუფალს დროს.

—

განზრახვა აქვთ თურმე, რომ რუსეთის სხ. და სხ. სამეურნეო მუზეუმებთან დააარსონ კლასები და იკითხონ ლექციები თევზის ჭერისა და მოშენების შესახებ. ჰფიქრობენ აგრეთვე შეამოკლონ თევზის ჭერის

---

დაგვიწყდეს, თვალების ბრიალით დაიღრიალა ბიძამ.

მისი გული ჯერ ისევ ჰღელავდა და ამან უფრო აღელვა, რომელი ერთი გადაეტანა: ბიძის გულქვაობა, თუ თავმოყვარეობის შელახვა. რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ წამს თავისი მისდამო დამოკიდებულება წარმოუდგა, მოთმინების ბაწარმა ტკაცანი მოილო, მაგრამ დამოკიდებულება უხილავის ხელით მის უნებურად წამსვე დააკავშირა. „ოხრად დაგრჩეს ეს სიმდიდრე", წაიდუდუნა და გიჟსავით გავარდა კარში.

II

სარდაფის ოთახი სიდიდესთან ნესტიანიც იყო. ორი ფანჯარა ნახევრადა სჩანდა ქუჩის მხრივ. ზაფხულში თუ, თორემ ზამთარში ხომ საიდგან მიწვდებოდა აქ მზის სხივი. ჰაერის შესახებ ლაპარაკიც მეტი იქნება, რაგან ფანჯარა, რომ გაეღოთ, მტვერი და ნაგავის გროვა დაბლად დაუკრადა თავს ამის მდგმურს გიგოს.

გიმნაზიის გათავებისთანავე ბიძამ სახლიდგან დაითხოვა: „ეხლა კაცი ხარ და სწავლა გაქვს, წადი და როგორც გერჩივნოს, ისე იცხოვრეო".

მაგრამ გიგოს სწავლა სწყუროდა კიდევ. თუმცა ბიძამ არ იკისრა მისი უნივერსიტეტში გაგზავნა, მაგრამ იმედი ამხნევებდა: ქვეყანაზედ კეთილი ხალხი არ გამოილევა—მიშველიანო. ხმელს პურსა ვჭამ ამ წლებში, გაკვეთილებს თავს შევაკლავ და პოეტის სიტყვებს: „არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემზგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს-კი არარა არგოს". არ გავანავარდებ ჩემზედაო. უსწავლელი-კი აბა ვის რას ვარგებო? კურთხეულ იყოს ის წამი, როდესაც ყმაწვილი გული აძგერდება მოქმედების წყურვილით! არასოდეს არ არის ხოლმე ეს წყურვილი ყალბი.

მეო, ჰფიქრობდა გიგო, წამაძესავით სიღარიბით უნდა ვიხელმძღვანელო. სიღარიბეში უფრო ადვილია ყოველის კაცობრიულის სურვილის განხორციელება. „ცდა იმდენად, რამდენადაც შემეძლება, თავს გადავავლო საწყალს ხალხს გაჭირვებაო! ეს არის პირველი ჩემი აღთქმაო" ერთხელ და ორჯელ-კი არა მსმენია წამაძისაგან.

ამ ფიქრებში იყო გართული გიგო ეხლაც. წამოდგა ლოგინიდგან, რომელშიაც აი თითქმის ორი კვირა მიდის, რაც მეტის-მეტმა ჯაფამ ჩააწვინა, შედგა ფანჯარაზე დი სიცხისაგან გახურებული შუბლი სიამოვნებით მიაყრდნო ფანჯრის მინას.

სახე ისე გაჭფითრებოდა, რომ რამდენიმე გამვლელ-გამომვლელი შესდგა და ცქერა დაუწყო, რადგანაც სანთლის ქანდაკება ეგონათ.

მინის სიგრილემ მიიზიდა ამისი გახურებული შუბლი და იმის სისუსტის მიუხედავად რამდენსამე ხანს გააჩერა ამ გარემოებაში.

ჩამავალი მზის სხივები სახლის ბანებს-ღა ჰლებავდა.

მზის ჩასვლისათანავე ხალხი გამოშლილიყო და მიეშურებოდა ბაღებისაკენ.

მოსეირნეთა დასი წამდაუწომ ჩამოუბნელდებოდნენ ხოლმე გიგოს და მოუშლიდნენ ორის კვირის დანატრულებულს მნათობის მიმავალს სხივების ცქერას.. ფაიტონები და ცხენის რკინის გზის ვაგონები მჭიდროდ იყო დატვირთულ ხალხით. ყველას სიხარული და სიამოვნება ეტყობოდათ სახეზედ. აგერ რამდენიმე საკუთარმა ეტლმაც გაიქროლა. მათი ღიმილი ეხლაც თვალწინ უდგას გიგოს, უხარიანთ, რომ დღეს კარგად უჭამიათ. ზიზღი აღენიშნა სახეზედ გიგოს, სახე დაეღრიჯა და კბილების კრაჭუნით მაღლა ხმით წამოიძახა: „პირუტყვები, თითქოს მარტო სიამოვნებისათვის იყვნენ დაბადებულნიო!"

ამ სურათების ცქერაც რომ არ მოსწყენოდა, არც დასუსტებული მუხლები და აპირებდა სამსახურის განგრძობას და ამიტომ დააპირა ძირს ჩასვლა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოისმა ამის ფანჯარასთან ცხენის ფეხის ხმა და ცნობის მოყვარეობამ ისევ, უკან მიაბრუნა.

— ღმერთო! შეჰკივლა გიგომ. წამაძე?!. საკუთარი ეტლი?!. მაგრამ წამსვე დაბალის ხმით დააყოლა: ალბად ავადმყოფმა ვინმემ გამოუგზავნაო.

— მაშ დაბრუნებულა? ეგ აქა სცხოვრობს და მე-კი ტყუილად ექიმზედ ფულსა ვხარჯავ. განა არ მოაგონდება, რომ მაგის გულისათვის ბიძაჩემს შევძულდი, და თუნდა ესეც არ იყოს...

— ოჰ! წამოიძახა, როდესაც ძირს ჩამოვიდა, ბიძაჩემი გააცოცხლა, რომ დაინახოს რა კაცისათვისაც დაინანა ერთი-ორი მანათი. დაანახვა, რა სარგებლობა მოაქვს ამ სამადლოდ გამოზრდილს სტუდენტს. ამას ისეთის გატაცებით ამბობდა, თითქოს ენახა და გაეგო იმისი საქმეების ქება-დიდება.

ან სხვა რა უნდა ეთქვა ამ უბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალკრძალვის დრო და გაამრავლონ თევზის მოშენების ადგილთა რიცხვი. დაწვრილებით იქნება გამოკვლეული როგორ უნდა ალიკრძალოს უდროოდ ჭერა თევზისა.

ჩვენის ფიქრით, კარგი იქნებოდა, ეს ლექციები სამეურნეო მუზეების ნაცვლად იქ წაიკითხონ ხოლმე, სადაც ხალხი ამ ხელობას მისდევს, რადგანაც ის, ვინც ამ ლექციებს მუზეებში მოისმენს, ამ ცოდნას თავისს კაბინეტის იქით ვერ წაიღებს და ვერც ვერაფრად გამოიყენებს.

—

სამხრეთს რუსეთში და კერძოდ ბესსარაბიაში აბრეშუმის მოყვანის წასახალისებლად მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უფასოდ დაურიგებია აქაურ აბრეშუმის მომყვანთათვის აბრეშუმის თესლი. რამდენიმე საერო სკოლის მასწავლებელი კავკასიაში გამოუგზავნიათ აქაურ აბრეშუმის მომყვან სადგურში ამ საქმის შესასწავლად; გაუმართავთ სამაგალითო აბრეშუმის ჭიის საკვებავი და საერო სკოლებთან საკვების ფურცლის (თუთის ხის) მოშენება დაუწყიათ. ახლო მომავალში ოდესსაშიაც აარსებენ აბრეშუმის მოყვანს სადგურს. რაც შეეხება აბრეშუმის პარკის გასყიდვას, ეს ერობის სამმართველოთ დაევალებათ.

საქართველოში ძველადვე ბლომად მოჰყავდათ აბრეშუმი და დღესაც მოჰყავთ სხ. და სხ. ადგილს, ამიტომ კარგი იქნებოდა სამინისტროს აქაურ მცხოვრებთათვისაც დაერიგებინა უფასოდ აბრეშუმის თესლი, რაც, ეჭვი არ არის, უფრო წინ წასწევდა აბრეშუმის მოყვანას. ეს მით უფრო საჭიროა საქართველოს მცხოვრებთათვის, რომ დღეს აქაურს მიწათ მოქმედების მრეწველობას, სიმინდს და ხორბალს, აღარა აქვს ფასი, რადგანაც სხვა ქვეყნებში უფრო ნაკლებ ფასად ისყიდება.

—

სხვა-და-სხვა გუბერნიების თავად-აზნაურთაგან წარგზავნილ დეპუტატთა შორის, რომლებიც იმპერატორის ალექსანდრე III დასაფლავებას დაესწრნენ, წარმოითქვა აზრი, რომ განსვენებულის ღვთის მიერ მიცვალებულის ხელმწიფის სახელზედ თავად-აზნაურთა შეწირულებით დაარსდეს სათავად-აზნაურო სააგრონომიო ლიცეი.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროში მოლაპარაკებაა აღძრული იმის შესახებ, რომ დღეიდგან მთელს იმპერიაში ხორბლეულობის წყვით გასყიდვა აღიკრძალოს და დაკანონდეს მისი უეჭველად წონით ვაჭრობა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჟურნალ „Рус. Арх." თავადი ობოლენსკის მოგონება არის დაბეჭდილი, რომელიც შეეხება იმპერატორ ალექსანდრე მეორის ცხოვრებას პარიჟში ყოფნის დროს.

იმპერატრიცა ევგენია მეტად თავაზიანად ეკიდებოდა იმპერატორს ალექსანდრეს, და ყოველ იმის ფეხის გადადგმას თვალ-ყურს ადევნებდა. ძალიან ბევრი ლაპარაკი გამოიწვია იმ ამბავმა, როდესაც იმპერატორს ბრეზოვსკიმ დამბაჩა ესროლა და იმპერატრიცამ გაიგო ეს თუ არა, უბრალო ეტლით გაემგზავრა ელისეის სასახლეში და იმოდენა ხალხში ყელზედ ჩამოეკიდა ალექსანდრე მეორეს. მემკვიდრე ცესარევიჩი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე და მისი ძმა სისხლში იყვნენ მოსვრილნი: ეგონათ, დაჭრილნი არიანო, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის სისხლი დაჭრილი ცხენებისა იყო.

ხელმწიფეს პეტერბურგიდგან მიჰგვარეს ცხენები სასეირნოდ. ერთხელ ელისეის სასახლიდგან ისე გამოვიდა იმპერატორი, რომ არავის შეატყობინა და ბულონის ტყისკენ გაემგზავრა, სადაც სასეირნოდ ცხენი ელოდა. ევგენიამ შეიტყო იმპერატორის განზრახვა, შეშინდა და გამოჩენილს პიეტრის დაავალა გაეგო, საით წაბრძანებულა. ამან მხოლოდ საათ ნახევრის უკან შეიტყო, რომ იმპერატორი ბულონის ტყეში დასეირნობდა თავისთვის.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** გენერალ-ადიუტანტმა ჩერტკოვმა გარდასცა რა რესპუბლიკის პრეზიდენტს ხელმწიფე იმპერატორის ხელით დაწერილი წერილი, შემდეგი სიტყვაც უთხრა.

„ბატონო პრეზიდენტო! ჩემმა უავგუსტოესმა მბრძანებელმა, მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა ნიკოლოოზ მეორემ კეთილ ინება და დამავალა გადმოგეცა თქვენთვის ეს წერილი. ამავე დროს მიბრძანა გაგიმეოროთ თქვენ, როგორ არის ნასიამოვნები იმ საერთო თანაგრძნობით, რომელიც საფრანგეთის ერმა გამოიჩინა მისის უავგუსტოესის მშობლის გარდაცვალებისა გამო და როგორ იყო აღელვებული იმ თანაგრძნობის დეპეშებით, რომელიც საფრანგეთიდგან მოსდიოდა მისის დიდის მწუხარების შესამსუბუქებლად. ჩემმა ხელმწიფემ მიბრძანა გადმოგცეთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მისი ულრმესი პატივისცემა იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც პირადად თქვენ გამოუცხადეთ იმის და მთელის რუსეთის უბედურების დროს."

პრეზიდენტმა უპასუხა.

„ბატონო ელჩო! მე ჩემს ბედნიერებად ვსთვლი თქვენის ხელიდგან მიღებას იმ წერილისას, რომელიც თქვენმა უავგუსტოესმა ხელმწიფემ გამოგატანათ ჩემდა გადმოსაცემად.

„გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მადლობა გამოუცხადოთ მის უდიდებულესობას ხელმწიფეს იმისთვის, რომ რესპუბლიკის მთავრობისათვის იმ აზრების გასაზიარებლად, რომელიც თქვენ აღიარეთ, თქვენ დაგნიშნათ და თუ საფრანგეთის მთავრობა და მთელი ერი გლოვის დროს შეუერთდა რუსეთს, ამ ჟამადაც არა ნაკლების გულ-წრფელობით მოისურვებს თითოეული ფრანგი ყოველ გვარს სიკეთეს მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ მეორისათვისაო."

—

**ავსტრია.** ვენის ოფიციოზურ გაზეთ „Politische Correspondent"-ს რომლიდგანაც სწერენ რომ, კარდინალების მოლაპარაკება აღმოსავლეთ კათოლიკეთა ეკკლესიების შესახებ ორის იანვრისათვის გადაიდოო. ამტკიცებენ, რომ ამ მოლაპარაკების საგნად იქნება იმ საშუალებათა გამოძებნა, რომლის შემწეობითაც შეიძლებოდეს კათოლიკეთა და მართლმადიდებელ ეკკლესიათა დაახლოვება.

ამ ხმასთან ერთად იმასაც გვაუწყებენ უცხო ქვეყნის გაზეთები, რომ «Revue des deu Monds-ში დაბეჭდილი წერილი, რომელიც ამავე საკითხავს შეეხება, ვატიკანის შთაგონებით არის დაწერილი, რადგანაც ამ წერილის დაბეჭვდამდის, რამდენისამე დღის წინად, უმთავრესი რედაქტორი ამ ჟურნალისა ბრიუნეტიერი პაპმა კერძოდ ინახულაო.

## თავ ს მოკვლის ზრდა ევროპაში

—

რა ელის მომავალში ევროპის ცივილიზაციას, ამას, რასაკვირველია, ვერც ერთი წინასწარმეტყველი ვერ გამოიცნობს; მაგრამ დღეს-კი ბევრი ისეთი გარემოებაა, რომელიც თვით სულითა და გულით ოპტიმისტებსაც-კი ღრმად აფიქრებს. ჩვენ აქ ევროპის დაწინაურებულ სახელმწიფოებში თავის მოკვლის ზრდას ვიგულისხმებთ. რაც უნდა ბევრი ვილაპარაკოთ ჩვენის დროის ბურჟუაზიის წეს-წყობილებისა, უმრავლესობის სიღარიბისა და ღიურ მუშა ხალხის შესახებ, რომელსაც ლუკმაპურის მეტი არა ჰრჩება-რა ნამუშავარიდგან, მაინც დღევანდელი ცხოვრება საშუალ საუკუნოების ცხოვრებასთან შედარებით ბევრად უკეთესია, უფრო მშვიდობიანი, თავისუფალი... ეხლა აღარ წაგიყვანენ რომელისამე წინდაუხედავის სიტყვისათვის ჩამოსარჩობად, არ დაგსვამენ გალვივებულს ნახშირზედ, თუ რომელისამე დანაშაულის შესახებ ეჭვი შემოიტანეს შენზედ, არც დაწვას დაგიპირებენ იმის გამო, რომ ორი თითით იწერ პირჯვარს... ქონებრივი კეთილ-დღეობაც დღითი-დღე ჰმატულობს; აქ მაღალის წრის ხალხის შესახებ არას ვიტყვით, თვით მდაბალის ხალხის გარემოებაც გაუკეთესდა; ჩვენის დროის მუშა-კაცი და გლეხი უფრო მაძღარია, უკეთესად ჩაცმულ-დახურულია, უფრო სუფთადა სცხოვრობს, ვიდრე მისი წინაპარი სამასისა და ხუთასის წლის წინად.

ლევასსერის ერთს უკანასკნელს შრომაში *) მოყვანილია ცნობები მოუსავლიან და შიმშილობის წლებისა საფრანგეთში რამდენისამე საუკუნის განმავლობაში, ძველის ქრონიკებისა და მატიანებიდგან ამოკრებილი. ეს მოკლე ცნობები სხვა ცნობათა სიმრავლეში დაფანტულია, მაგრამ ყველა ერთად-კი ცუდად მოქმედებს ადამიანზედ, ეს ნამდვილი წამებულთა წამების სიაა. მოუსავლიანობა, სიმშილი, უსაქმლობა შემთხვევითი მოვლენა-კი არ არის, არამედ სოფლის მცხოვრებთა ნორმალური მდგომარეობაა. სიმშილით გლეხთა სიკვდილი, თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული.

მაგრამ დღეს დასავლეთს ევროპაში ულუკმა-პუროდ სიკვდილი იშვიათი მოვლენა-ღაა. ეროვნებათა სიმდიდრე იქამდე გაძლიერდა, რომ მოუსავლობის გამო სიმშილი ძნელად-ღა ჩამოვარდება; ამერიკისა და ავსტრალიის მოჭარბებული ხორბალი ყველას ეყოფა. მაგალითად, საფრანგეთში 1893 წლის გვალვაც კმარა.

ფაბრიკებში მომუშავენი-კი თითქოს სხვა მდგომარეობაში არიან: ხშირად უჩივიან, რომ დღევანდელ მუშა ხალხის მდგომარეობა საშუალ საუკუნოების ხელოსან ხალხისაზედ უარესიაო. იქმნება ჰქონდა კიდეც რაიმე გასამართლებელი საბუთი ამ მოსაზრებას, ვიდრე ძველი მუშათა წეს-წყობილება შეიცვლებოდა, მაგრამ დღეს-კი ეს ასე აღარ ითქმის. მას შემდეგ, რაც საფაბრიკო კანონ-მდებლობა დაარსდა და მუშა ხალხმა სხ. და სხ. ამხანაგობა და კავშირი შეადგინა, მათი გარემოება ბევრად გაუკეთესდა. ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს; რომ მუშა ხალხის საქმე ძალიან კარგად იყოს წარმართული და მისი განკარგება საჭიროდ აღარავის მიაჩნდეს, მაგრამ ძველის დროის მუშების მდგომარეობასთან შედარებით-კი ბევრად უკეთესია.

თუმცა კაცობრიობის კეთილდღეობა თან-და-თან სიკეთეში შედის, მაინც ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენ ისე ვერა ვცხოვრობთ, როგორც ჩვენნი წინაპარნი სცხოვრობდნენ. „არსებობის სიხარული" თან-და-თან ჰქრება. ხალხს უფრო და უფრო უმძიმდება ცხოვრება. ცხოვრების სხ. და სხ. გვარი მოვლენა ამ საყოველთაო სასოწარკვეთილებას ნათლად აღნიშნავს და სიცოცხლის სხ. და სხ. მომწამვლელ მძიმე სასმელების ხმარებითაც მტკიცდება. ამასავე გვიმტკიცებს ხელოვნური საშუალება უშვილობისა, რომელსაც დღეს ძალიან ბევრი ჰხმარობს; ეტყობა ადამიანს ეხლა უფრო მეტად ეშინიან სიცოცხლისა, ვიდრე იმის წანაპართ ეშინოდათ; ამისივე ნიშანია ხშირი ამბავი ჰკუიდგან შეშლისა და თავის-მოკვ-

*) Les priz. Aperçu pe l'histoire economique etc. 1894

---

წო ქმნილებას, რომელსაც გულის სიღრმეში ჰქონდა ჩანერგილი წამაძეს სიტყვები: „ძმობა, ერთობა, საწყალთა შველაო" და სხვა ამისთანები.

მარდად ჩაიცვა ტანთ, კარში გამოვიდა. ჯერ ორი ნაბიჯიც არ გადაედგა, მაგრამ ჰგრძნობდა, ვითომ ელაპარაკებოდა კიდეც წამაძეს რაიმე აზრის შესახებ. ჰხედავდა, ვითომ წამაძეს ძალიან უხაროდა მისი ნახვა, რადგან იგი სულითა და გულით თანაუგრძნობდა წამაძის ყოველს აზრს. ჰხედავდა კიდევ, ვითომ წამაძეს გაეხადნა თავისი დაგლეჯილი სერთუკი და გიგოს აძლევდა—ეს გაყიდე და წამლები იყიდეო, და ამ ფიქრებით გატაცებული ისე მიაბიჯებდა, თითქოს თავისს დღეში თითიც არ წამოსტკივნიაო.

მალე სამ სართულიან სახლს მიადგა, შეხედა ნომერს და სწორედ ის იყო, რომელიც მიასწავლეს. ალბათ მომატყუეს, გაიფიქრა გიგომ და ის იყო უნდა გაბრუნებულიყო, რომ სწორედ ამ დროს თვალი მოჰკრა თითბრის ფიცარს, რომელზედაც მსხვილის ასოებით იყო აღბეჭდილი „ექიმი ს. პ. წამაძე". გიგო თვალებს არ უჯერებდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა აშტერდებოდა ამ წარწერას, მაგრამ წარწერა ისევ „ექიმი ს. პ. წამაძედ რჩებოდა.

გულის ფანცქალით მიუახლოვდა კარებს. კარების დიდ მინაში მშვენიერის ყვავილებით მორთული ოთახი სჩანდა, ჯერ უკან გამობრუნება დააპირა, ფეხიც ჩამოდგა ქვის კიბეზედ, მაგრამ ვნახოთო სთქვა და ამაყად მიადო თითი ელექტრონის ზარის ღილს.

— ბატონს ჯერ არა სცალიან, უთხრა მსახურმა გიგოს და იქვე სკამზე მიუთითა.

მახლობელის ოთახიდგან მღერა-სიცილის ხმა გამოდიოდა.

— ქირას რას აძლევს? შეეკითხა მსახურს გიგო, როდესაც ჩუმად ჯდომა მოსწყინდა.

— რა უნდა მისცეს, სახლი თავისია, მიუგო მსახურმა. ამას-კი აღარ მოელოდა გიგო. როგორ თუ სახლი თავისია? ვინ მისცა წამაძეს, რომელიც სამადლოდ გავისტუმრეთ უნივერსიტეტში ამ რვა წლის წინად, საკუთარი სახლი? რითი გამდიდრებულა ამ სამს წელიწადში? იქნება ამანაც სხვებისავით ფულის მოსაგებ ხელობად გაჰხადა ეს საუკეთესო მეცნიერება და ხალხსა სცარცვავს? ამ დროს წამაძეს სიტყვები მოაგონდა და ამაყად სთქვა: არა, წამაძე ასე არ გადახალისდებოდაო.

მსახურს, რომელიც აქამდის თვალს ადევნებდა გიგოს სახეს, შეეტყო ეს ეჭვი და დაუკითხავად დაიწყო:

— ეს რას გიკვირთ? ამისთანა სახლი კიდევ რამდენიმე სხვაცა აქვს ჩემის ბატონის სიმამრს.

— როგორ? ცოლი შეირთო და ისიც მდიდარი? განა ეს არ იყო, რომ სიმდიდრეს ზნეობის მტერს არქმევდა? არა, აქ სხვა რამე იქნება, ჰფიქრობდა გიგო.

—

— ბიჭო! მოისმა ოთახიდგან, როდესაც გიგო კარში გამოვიდა: ეგ ავადმყოფი აღარასოდეს აღარ მიიღო... მხეცები! წამლობა უნდათ და ფულის ძლევა-კი არა!

გიგომ თავისის ყურით გაიგონა ეს სიტყვები. მერე ვისგან? იმისაგან, რომელსაც ერთს დროს აღმერთებდა, რომელსაც ერთ დროს ყოველი კეთილის იდეალად სთვლიდა, რომლის სიტყვებით: „ძმობა, ერთობა, ულონოთა შველა, ბოროტების დევნა"... ეხლაც-კი ყურში უბჟუოდა. მიბრუნდა, უნდოდა ისევ შესულიყო, მოეგონებინა ყველა, მაგრამ ერთბაშად აღძრულმა ფიქრმა შეაყენა.

მოაგონდა ყველა თავისი გაჭირვება და იმედები, მოაგონდა თავისი უფროსი ამხანაგები, გონების თვალით გადაათვალიერა იმათი აწმყო და წარსული, ყოველი ნათლად დაინახა, მაგრამ თვალს არ უჯერებდა.

იყურებოდა შორს, მაგრამ ვეღარავის ვეღარა ჰხედავდა კეთილს გზაზედ, ყველა არხეინად დაცურავდა ცხოვრების მორევში და წარსული-კი სიცილადაც არა ჰყოფნიდათ და თუმცა გულის სიღრმეში-კი ისევ ხელშეუხებლადა ჰქონდათ წრფელი ყმაწვილური აზრ-სურვილი მაინც ყოველს წამს სცდილობდნენ ამ ნაშთისათვისაც სქელი მანდილი გადაეფარებინათ.

— ძმობა? ერთობა? საქმე? კეთილი? ბოროტების დევნა?.. წაიდუდუნა გიგომ, ამოიღო სისხლის ოფლით შეგროვილის ფულიდგან სამი მანეთი, რომლის მიცემა წედან ვერ გაბედა, ზიზღით შეისროლა ნახევრად გაღებულ კარებში და გულ-დათუთქულმა გასწია გულის დასამშვიდებლად ისევ თავისს ნესტიან ოთახისაკენ.

ვ. მ—შვილი.

ლისა, რომლისაგანაც საშუალო წოდების შეძლებული საზოგადოებაცკი არ არის თავისუფალი.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

მიკადოს (იაპონიის მეფეს) ჰსურს თურმე, რომ ევროპიული რძალი იყოლიოს. ეჭვი არ არის, რომ იაპონიის სამხედრო გამარჯვებას, რომელმაც ევროპის შემწეობით შეისხა ფრთები „ქორწინების“ შედეგიც მოჰყვება. ტოკიოს სასახლე სულ ევროპიულად არის მოწყობილი. და მალიანაც სცდილობენ, რომ იაპონიის სამეფო ტახტის მემკვიდრე ბჰინცეს ევროპას გვარ-ტომობის ქალი შეირთონ. ევროპაში გაგზავნილი იაპონიის ელჩებს დავალებულიცა აქვთ თურმე შეიგულონ რომელიმე სამეფო გვარეულობის სასძლო და ნიადაგი მოამზადონ ქორწინებისათვის. თუ ვინიცობაა ამ ქორწინებას ევროპიელ სამეფო გვარეულობის ქალი არ დასთანხმდება, მაშინ სასძლო კეთილშობილთა წრეში უნდა ეძებონ. თუ ესეც ვერ მოხერხდება, იაპონელები მზად არიან ამერიკის რომელიმე მდიდარი ქალი გაადედოფლონ. იაპონიის მეფის შვილი ხარონი ეხლა 17 წლისაა, და თუ რომელიმე ევროპიელმა ქალმა მოინდომა იმის მეუღლეობა, სარწმუნოების მხრივ სრული თავისუფლება მიეცემა.

## სასამართლოს მატიანე

—

(საქმე ყალბის ფულის მოჭრისა)

21 დეკემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე სოხუმის ოლქის სოფ. მერსაულის მცხოვრებლის უთუ ბაშინა ჯანაშიასი, რომელსაც ყალბის ფულის მოჭრა ჰბრალდებოდა. აი საქმის ვითარებაც. ამა წლის 17 თებერვალს პოლიციის 6 განყოფილების ბოქაული გლებოვი საღამოს ათს საათზედ, ქ. ტფილისს, ანჩის-ხატის ქუჩაზედ, ძიძიგურის სახლში თავზედ წაადგა ჯანაშიას, რომელიც ყალბს თუმნიანებს სთვლიდა (აღმოაჩნდა 98 ცალი). როგორც ბოქაულმა გამოაცხადა, ეს იაგორ მამაევისა და სიმონ ძიძიგურისაგან შევიტყეო, რომ ჯანაშია ყალბ ფულს აკეთებდაო. ამის შემდეგ ზემოხსენებულნი ბოქაულის თხოვნით ყოველთვის თვალს ადევნებდნენ თურმე ჯანაშიას. მამაევს სხვა-და-სხვა დროს ბოქაულისათვის 140 მანეთი გამოურთმევია ჯანაშიასაგან ყალბის ფულის სასყიდლად. მართლაც 136 ცალი ყალბი სამ-მანეთიანები უყიდნია ჯანაშიასაგან და ბოქაულისათვის წარუდგენია. რამდენისამე დღის წინად ჯანაშიას დაჰერამდის, მამაევმა ბოქაულს ორი ცალი ყალ ი თუმნიანი მიუტანა, რომელიც ჯანაშიასთვის ნიმუშად გამოერთმია და შეჰპირებოდა კიდეც 100 ცალს ვიყიდი, თითოეულს 5 მანეთადაო. ამ ყალბის თუმნიანების სასყიდლად ბოქაულს 400 მანეთი მიუცია მამაევისათვის, რომლის №№-ც წინდაწინვე დაუწერია თავისთვის. ამ ფულებით მამაევი მისულა ძიძიგურის სახლში, სადაც ვაჭრობა უნდა მომხდარიყო 7 თებერვლის საღამოს. ბოქაულმა რასაკვირველია ყველაფერი იცოდა და იმ დროს, როდესაც ჯანაშია ყალბ ფულსა სთვლიდა პოლიციის მოხელეთა და ერთის მაჰმადიანით, ბ-ნი გლებოვი თავს დაესხა და დაიჭირა და გაჩხრეკის დროს, 88 ცალი თუმნიანს გარდა, სხვა ყალბი ფული და თვის მიერ დანიშნული ფულიც აღმოუჩენია. ყველა ეს მოწმეებმაც დაამტკიცეს სასამართლოს წინაშე.

ჯანაშიამ თავისს თავი დამნაშავედ არ იცნო და გამოაცხადა, რომ ძიძიგურის სახლში შემთხვევით მოვხვდი, როდესაც ყალბს ფულსა სთვლიდნენო და რისთვის დამიჭირა ბოქაულმა, არ ვიციო. თუ ჩემს ხელსახოცში ბოქაულისაგან დანიშნული ფული აღმოჩნდა, ეს ძიძიგურის ბრალია, რომელსაც ჩემი ფული ამოუღია და სხვა ჩაუწყვიაო.

სასამართლომ ჯანაშია ყალბის ფულის მოჭრაში დამნაშავედ იცნო და ყოველ გვარის უფლების აღდით 4 წლით მაღნებში სამუშაოდ გაგზავნა მიუსაჯა.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბათუმის სამრევლო სკოლის მასწავლებლის მ. ბ. ჩხიკვაძის მიერ მივიღე ოც-და-ერთი მანეთი ქართულის (გურულ-იმერულის კილოს) გალობის ნოტებად დაწყობისა და დაბეჭდვის სასარგებლოდ შეკრებილი. ეს ფული შემოსწირა:

კოსტა გოგიბერიძემ 3 მ., მღვდ. სიმონ თოთიბაძემ 2 მ., ნიკო ჯაყელმა 2 მ., მიხეილ შარაშიძემ 1 მ., ლევან ასათიანმა 1 მ., იულო დუმბაძემ 1 მ., ალექსი მეხუზლამ 1 მ., ჯავახიამ 1 მ., ლასა სარჯველაძემ 1 მ., იასონ საბახტარიშვილმა 1 მ., მიხეილ სადრაძემ 1 მ., ემელიან მეგრელიძემ 1 მ., გიორგი ელიავამ 1 მ., აპალონ ქიქოძემ 1 მ., სამსოს დიასამიძემ 1 მ., გერასიმე ლორიამ 50 კ., სტეფანე რუსიძემ 50 კ., და მიხაილ ჩხიკვაძემ 1 მანათი.

ამ ოც-და-ერთის მანეთით მიღებული მექმნება 656 მან. და 5 კაპ.

მ. შარაძე

## შემოწირულება

—

ჩვენ მივიღეთ ქ. სოხუმში ივანე ბურჭულაძისაგან ქუთაისის ქართულ თეატრის ფონდის სასარგებლოდ შეკრებილი 46 მან. 70 კაპ.

სია შემომწირველთა: ივანე გეგეჭკორმა 1 მ., გიგო გურბანიძემ 1 მ., ილარიონ მაღლაყელიძემ 1 მ, ალექსი ჩაჩავამ 1 მ.. ძმებ. ერქომაიშვილებმა 2 მ., ბეგლარ თურქიამ 1 მ., საჩინო თურქიამ 2 მ., დიმიტრი ჭავჭიანიძემ 1 მ., პორფილე ცინცაძემ 1 მ., იოსებ კიწმარიაშვილმა 1 მ., მიხაილ თოფურიძემ 3 მ., უცნობმა პირმა 1 მ., ლუარსაბ ნებიერიძემ 1 მ., ნესტორ მასხარაშვილმა 2 მ., თეიმურაზ გაბუნიამ 2 მ., ივანე გულიეძემ 1 მ., ალექსი თურქიამ 1 მ., ვ. გაბუნიამ 50 კ., გრიგოლ ოჩიგავამ 50 კ., პეტრე თერთოვმაზოვმა 60 კ., სპირდონ ლომიძემ 50 კ., ლუკა მელუამ 50 კ., ილიკო მოსიძემ 20 კ., ამბაკო სულუხიამ 50 კ., პორფილე მაღლაყელიძემ 1 მ., დავით დალაქიშვილმა 1 მ., ალექსანდრე შონიამ 2 მ., ივანე რატიანმა 1 მ., გიორგი ჩაჩავამ 50 კ., სტეფანე თურქიამ 3 მ., გიორგი გვალიამ 1 მ., უცნობმა პირმა 50 კ., ტიმოთე ანუამ 1 მ., თეოფილე შათირიშვილმა 1 მ ., ივანე ჭანტურაიამ 20 კ. ნანე ლომჯარიამ 50 კ., გრიგოლ ცალქალამიძემ 50 კ., ნიკო ნაჭყებიამ 20 კ., ლუკა მაღლაყელიძემ 1 მ., ანტონ გეგელაშვილმა 1 მ., ბახვა ჩხეიძემ 1 მ., ამბაკო ანდღულაძემ 1 მ., ყარამან ჩაჩავამ 1 მ., კარპეზ წეროძემ 1 მ., ივანე ბურჭულაძემ 2 მ.

ამ ფონდისა გვქონდა 79 მან. 5 კაპ. ამითი შესდგა 116 მან. 75 კაპ.

# დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 დეკემბერი

**პეტერბურგი.** როგორც სამკურნალო დეპარტამენტს აუწყებენ, 17 დეკემბრის ხოლერა და ხოლერის მსგავსი ავადმყოფობა გავრცელებულია 16 გუბერნიაში. ყველა სხვა გუბერნიებში-კი ერთი შემთხვევაც არა ყოფილა, რომ ვინმე ხოლერით გამხდარიყოს ავად. ამიტომ ზემოდ დასახელებულ 16 გუბერნიის გარდა, იმპერიის სხვა გუბერნიები და ოლქები ცნობილია, როგორც ხოლერისაგან თავისუფალნი.

# განცხადებანი

მომავალ დღესასწაულებისათვის

**ისყიდება**

კახეთის საუკეთესო

ღვინოები

თუნგი 60 კაპ. ვიდრე 3 მანეთამდის,

ბოთლი 12 კაპ. ვიდრე 1 მანეთამდის.

ს ა რ დ ა ფ ი იმყოფება შუაბაზრის თავში, წინამძღვარიშვილის შენობაში, № 1.

ს. ი. კურდღლოვი

(2—131—1)

---

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათსნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი**. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ე. ი. ფრანცოუსი**, 7—$7^1/_2$ საათსნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

---

„წერა-კითხვის გამავრცელებელის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

## ქართული ანბანი

შედგენილი

გრ. ცაგარეიშვილის მიერ

ამ ანბანში მოქცეულია წყვილ-წყვილად ერთმანეთში ხელოვნურად და შნოიანად ჩართული ასოები, რომლებიც სახელისა და გვარის აღსანიშნავად შეიძლება ამოიჭრას ყოველნაირს ლითონის ნივთზედ (ოქროსა, ვერცხლსა, თითბერზედ და სხვ.) და ამოიკეროს.

---

## ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

## ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

---

გამოვიდა და ისყიდება

**თბილისში** „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში,

**ქუთაისში**, ყველა ქართულისწიგნის მაღაზიებში, ახალი წიგნი

## პირველი ტოლები

მოთხრობა

**დუტუ მეგრელისა**

ივ. კილაძის და ვას. მასხულიას გამოცემა

ფასი ყველგან ერთი აბაზი.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| მალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 4 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . . | „ | 20 |

---

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1895 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა, ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად **7** მანეთი, ხოლო გაგზავნით **8** მანეთ. ნახევარის წლის გაუგზავნელად **3** მან. **50** კაპ. გაგზავნით 4 მან. სამი თვისა გაუგზავნელად **2** მანეთ, გაგზავნით **3** მანეთი. თითო ნომერი აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

## ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო „სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში. და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Алтилер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: თ. კირ. ბეჟან. ლორთქიფანიძეს და ვ. ბეჟანეიშვილისა და ძმათ წერეთლების წიგნის მაღაზიებში:—ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში და პავილიონში გერ. კალანდაძესთან.—თიონეთში: ივ. თ. ჩიბალაშვილს.—გორში: ზაქარია დავიდოვთან და ეკ. ფურცელაძესთან— ჭიათურაში: თედორე კიკვაძესთან,—ყვირილაში: თ. ხუსკივაძესთან,—ახალსენაკში და ოზურგეთში: კ. თავართქილაძესთან.—ხონსტაურში: მიხ. ჯიბლაძის წიგნის მაღაზიაში.—საჩხერეში: ყარამან ჩხეიძე'თან,—თელავში: მ. ცისკარაშვილთან.

ვინც „ჯეჯილსა“ და „კვალს“ ერთად დაიბარებს, მათთვის წლიურათ, ეღირება გაუგზავნელათ **10** მან., ხოლო გაგზავნით **12** მან.

კერძო განცხადება დაიბეჭდება სხვა-და სხვა ენაზე

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.